



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
„საჭაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია“

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 28.07. 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 24.09.2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	206155328
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საავიაციო ინჟინერიის ბაკალავრი 0716
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გივი სანაძე, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მაყაშვილი, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ცინცაძე, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ღულუნიშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს აკრედიტებულ პროგრამას, რომლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია „საავიაციო ინჟინერიის ბაკალავრი“. სწავლების ხანგრძლივობა 4 წელია.

პროგრამის აქტუალობა ექვგარეშეა საქართველოსა და საერთაშორისო ბაზარზე საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის ინჟინრების მზარდი მოთხოვნებიდან გამომდინარე.

პროგრამის მოცულობა 240 კრედიტს შეადგენს. აქედან ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებზე გათვალისწინებული 187 კრედიტი, ხოლო თავისუფალ სასწავლო კურსებზე - 53 კრედიტი. პროგრამის სპეციფიკადნ გამომდინარე ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებში წარმოდგენილია 27 კრედიტის მოცულობის ორი არჩევითი კონცენტრაცია.

პროგრამაში გათვალისწინებულია სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) და ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) სტანდარტების მოთხოვნები, რის გამოც ძირითადი სწავლის სფეროს ზოგიერთი სასწავლო კურსი ისწავლება ინგლისურ ენაზე. ამ კურსების მოცულობა შეადგენს პროგრამის საერთო მოცულობის 27%-ს (14 სასწავლო კურსი 56-დან).

დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია“ ასახულია ცვლილებები, რომლებიც განპირობებულია ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების ცვლილებით და ასევე, პროგრამის განხორციელების და განვითარების პერიოდში სხვადასხვა მონაწილე მხარის რეკომენდაციებით. კერძოდ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები შედგენილია ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) მოთხოვნების გათვალისწინებით. წარმოდგენილი პროგრამის მომზადებისა და განხორციელების პროცესი ეფუძნება უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედ ზოგად და დარგობრივ შემდეგ რეგულაციებს: საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“ და სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ დირექტორის მიერ დამტკიცებულ „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესებს“.

ბოლო აკრედიტაციის შემდეგ, განახლებულ პროგრამაში შესულია მნიშვნელოვანი ცვლილებები. პირველ რიგში აღსანიშნავია სტრუქტურული ცვლილებები, რომელიც გამოიხატება წინა საბაკალავრო პროგრამების „საჰაერო ხომალდებისა და საავიაციო ძრავების ტექნიკური ექსპლუატაციის“ და „საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების“ ინტეგრირებაში ახალ ერთიან „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ საგანმანათლებლო პროგრამაში. სრულად შეიცვალა ინგლისური ენის სწავლების სტრუქტურაც.

აღნიშნული სიახლეები ემსახურება ამ პროგრამის კურსდამთავრებულთა თანამედროვე სტანდარტების ცოდნის დაუფლებას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას არა მარტო საქართველოს არამედ საერთაშორისო ბაზარზე.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით 28 ივლისს განხორციელდა ვიზიტი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში. ვიზიტის დროს, წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის დაცვით, ინტერვიუებისა და ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით გადამოწმდა დოკუმენტებით წარმოდგენილ ინფორმაციასთან შესაბამისობა. სასწავლო-მატერიალური ბაზის შემოწმება განხორციელდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შემოწმდა საავიაციო უნივერსიტეტის კორპუსებში განთავსებული სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიები. მეორე ეტაპზე მოხდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში განთავსებული „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სასწავლო საწარმოში“ ვიზიტი. ვიზიტის დროს შემოწმდა პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო ბაზა და პრაქტიკის ჩატარების პროცედურები. ძირითადი მიგნებების გაცნობა საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წარმომადგენლებისათვის განხორციელდა საწარმოში ვიზიტის შემდგომ. ვიზიტის პერიოდში გაუთვალისწინებელი შემთხვევები და პროცედურული დარღვევები არ დაფიქსირებულა.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის პირველი სტანდარტი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. პროგრამას აქვს ავიაციის ინჟინრის კომპეტენციების მქონე სპეციალისტის მომზადებაზე მიმართული ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევად მიზნები, ასახავს მის წვლილს ავიაციის განვითარებაში, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიას, ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, შეესაბამება ბაკალავრის კვალიფიკაციის დონეს, არის მიღწევადი და რეალისტური, გათვალისწინებულია ავიაციის დარგის სფეროში მუშაობის მოთხოვნები. პროგრამაში გათვალისწინებულია ზედამხედველი უწყების - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მოთხოვნები. პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მუდმივ განვითარებას საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის პროფესიის სწრაფი განვითარების თავისებურების გათვალისწინებით.

აკრედიტაციის მე-2 სტანდარტი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა მნიშვნელოვანი დატვირთვით უზრუნველყოფს პრაქტიკული და საშემსრულებლო უნარების განვითარებას. კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან

გასაუბრების დროს ორივე მხარის მხრიდან აღნიშნული იყო გაცნობითი პრაქტიკის საჭიროება, რათა მომავალში უფრო ნათელი გახდეს სტუდენტისთვის არჩეული მომავალი პროფესიის სპეციფიკა. დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ვინაიდან ქვეყანაში არსებობს ტექნიკა რომლის შესახებ ტექნიკური ინფორმაცია რუსულ ენაზეა. ამიტომ სჭირდებათ კადრები რომლებსაც გარკვეულ დონეზე ეცოდინებათ რუსული ენა. ამ მიმართულებით ცოდნის დეფიციტი ასევე აღნიშნეს კურსდამთავრებულმაც. მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გაწერის დროს სილაბუსების ავტორებმა უფრო აქტიურად გამოიყენონ ბლუმის ტაქსონომიის მიდგომები (ზმნები). მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გაწერის დროს სილაბუსების ავტორებმა უფრო აქტიურად გამოიყენონ ბლუმის ტაქსონომიის მიდგომები (გამოიყენოს მოქმედების აღმნიშვნელი ზმნები: აღწერს, ახსნის, გაანალიზებს, შეაფასებს და ა.შ.). უნივერსიტეტს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე გააჩნია ტექნიკური მომსახურების სასწავლო საწარმო. ამ საწარმოში განთავსებულია Boeing 737-200 ტიპის საჰაერო ხომალდი, რომელზეც შესაძლებელია ტექნიკური მომსახურების სრულფასოვანი სამუშაოების ჩატარება და სწავლება. საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებულია ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) შესაბამისი სპეციალიზებული სასწავლო პროგრამის და საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების ავიასპეციალისტის მომზადების მიმართ წაყენებული მოთხოვნები. მნიშვნელოვნად არის გაზრდილი პრაქტიკული კომპონენტისთვის დათმობილი კრედიტების ოდენობა, აგრეთვე გათვალისწინებულია ინგლისური ენის (შესაბამისი ტერმინოლოგიის) ცოდნის საჭიროებაზე მორგებული მოცულობები, რაც გაზრდის კურსდამთავრებულთა საექსპლუატაციო გარემოში ეფექტური ინტეგრაციის შესაძლებლობას. სტუდენტებს აქვთ შესაბამისი მატერიალური ბაზა, რათა მოახდინონ თეორიული ცოდნის ლაბორატორიებში პრაქტიკული და ვიზუალური დამუშავება. თუმცა აღსანიშნავია რომ სასწავლო სტენდებზე მანიშნებლები ძირითადად მითითებულია მხოლოდ ერთ უცხო ენაზე (რუსულად). სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ როდესაც ტერმინი მანიშნებელზე გაუგებარია ლექტორებს მიმართავენ დასახმარებლად. სასურველია სტენდებზე არსებულ მანიშნებლებზე ინფორმაცია ქართულ ენაზეც იყოს დატანილი, რათა სტუდენტმა დამოუკიდებლად შეძლოს მისი გაგება.

აკრედიტაციის მე-3 სტანდარტი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემების და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების პირობების შესახებ. მოწესრიგებულია სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების სისტემა. სიახლეების მიწოდება მიმდინარეობს ინდივიდუალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც იძლევა საშუალებას, რომ სტუდენტები მუდმივად ეცნობოდნენ მიმდინარე სიახლეებს. უნივერსიტეტში არსებობს ელექტრონული საინფორმაციო (LMS) სისტემა, აღნიშნულ სისტემაში ხდება ყველა სტუდენტის რეგისტრაცია, მათთვის სასწავლო კურსების შეთავაზება, ელექტრონული სასწავლო მასალებისა და სილაბუსების განთავსება. სტუდენტებს აქვთ კონსულტაციის შესაძლებლობა. სილაბუსებში მითითებულია ინფორმაცია კონსულტაციის ჩატარების დროსა და ადგილზე. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან სხვადასხვა აქტივობების შესახებ. აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში. სტუდენტები იღებენ დასაქმებაზე კონსულტაციებს, აგრეთვე, ინფორმაციას კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით აქტივობების შესახებ.

აკრედიტაციის მე-4 სტანდარტი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთაც გააჩნიათ სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება. წარმოდგენილი აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების რაოდენობა საკმარისია საგანმანათლებლო პროგრამის საჭირო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია, განხორციელებისათვის. აღნიშნული საბაკალავრო პროგრამის პერსონალს აქვს დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, ჩართული იყო სამოქალაქო ავიაციაში პერსონალის სერტიფიცირებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო პროექტებში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს უნივერსიტეტის მიერ სამოქალაქო ავიაციის ზედამხედველ უწყებასთან - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან ურთიერთკოორდინაცია და აკრედიტაციის პროცესში სამოქალაქო ავიაციის რეგულაციების მოთხოვნების გათვალისწინება. პროგრამის პერსონალის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედი სამოქალაქო ავიაციის სფეროში მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნებს. პროფესიასთან დაკავშირებული საგნების ლექტორებს გააჩნიათ სამოქალაქო ავიაციის რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად გაცემული მასწავლებლის სერტიფიკატები. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. თეორიული ნაწილის სწავლება ხდება CBT-ის ანუ პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებებით, რაც იძლევა საშუალებას, რომ სასწავლო კურსების ჩატარება მოხდეს ვიზუალური დემონსტრირებით. პრაქტიკული სწავლებისათვის უნივერსიტეტს თბილისის აეროპორტში გააჩნია ექსპლუატაციიდან ამოღებული Boeing-737 ტიპის საჰაერო ხომალდი, რომელზეც შესაძლებელია სტუდენტმა პრაქტიკულად განახორციელოს ტექნიკური მომსახურების სამუშაოების შესრულება. პრაქტიკული სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების ჩართულობა მოქმედი ავიაკომპანიების საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების პროცესებში. უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის ბიუჯეტი შედგენილია კანონმდებლობით განსაზღვრული საბიუჯეტო კლასიფიკატორის მიხედვით და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

აკრედიტაციის მე-5 სტანდარტი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ მოქმედებაზე და სისტემის განვითარებაზე. სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწყევს პროგრამას, აგროვებს და აანალიზებს ინფორმაციას. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია წინა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში აღნიშნული აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების პროგრამასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პროგრამის გარე შეფასების ეტაპზე აქტიურად და ინტენსიურად იყვნენ ჩართულები ავიასაწარმოების წარმომადგენლები.

- რეკომენდაციები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში გაცნობითი პრაქტიკის დამოუკიდებლად დამატება, მიუხედავად იმისა რომ, სასწავლო კურსი ავიაციის საფუძვლები ითვალისწინებს ვიზიტს პრაქტიკის ობიექტზე;
2. სასურველია, რუსული ენის სწავლების გაძლიერება საავიაციო ტერმინოლოგიის დონეზე, რადგან კურსდამთავრებულებს შეიძლება მოუწიოთ რუსული წარმოების ტექნიკაზე (შვეულმფრენებზე) მუშაობა;
3. მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გაწერის დროს სილაბუსების ავტორებმა უფრო აქტიურად გამოიყენონ ბლუმის ტაქსონომიის მიდგომები (გამოიყენოს მოქმედების აღმნიშვნელი ზმნები: აღწერს, ახსნის, გაანალიზებს, შეაფასებს და ა.შ.);
4. სასურველია, სასწავლო სტენდებზე არსებულ მანიშნებლებზე ინფორმაცია ქართულ ენაზეც იყოს დატანილი, რათა სტუდენტმა დამოუკიდებლად შეძლოს მისი გაგება.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

1. თანამედროვე სტანდარტების ტექნიკური მომსახურების სასწავლო საწარმოს და Boeing 737-200 ტიპის საჰაერო ხომალდის შეძენა, რომელიც განთავსებულია თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე;
2. საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებულია ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) შესაბამისი სპეციალიზებული სასწავლო პროგრამის და საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების ავიასპეციალისტის მომზადების მიმართ წაყენებული მოთხოვნები;
3. მნიშვნელოვნად არის გაზრდილი პრაქტიკული კომპონენტისთვის დათმობილი კრედიტების რაოდენობა, აგრეთვე გათვალისწინებულია ინგლისური ენის (შესაბამისი ტერმინოლოგიის) ცოდნის საჭიროებაზე მორგებული მოცულობები, რაც გაზრდის კურსდამთავრებულთა საექსპლუატაციო გარემოში ეფექტური ინტეგრაციის შესაძლებლობას;

4. პროგრამის პერსონალის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედი სამოქალაქო ავიაციის სფეროში მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნებს. პროფესიასთან დაკავშირებული საგნების ლექტორებს გააჩნიათ სამოქალაქო ავიაციის რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად გაცემული მასწავლებლის სერტიფიკატები.
5. სამოქალაქო ავიაციის ზედამხედველ უწყებასთან - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან ურთიერთკოორდინაცია და სამოქალაქო ავიაციის რეგულაციების მოთხოვნების გათვალისწინება.
6. წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია წინა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში აღნიშნული აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს;
7. აღსანიშნავია წარმოდგენილი პროგრამის გარე შეფასების ეტაპზე ავიასაწარმოების წარმომადგენლების ინტენსიური ჩართულობა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი მიზანია საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების კვალიფიცირებული ინჟინრების მომზადება. ამ პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულებს ექნება ცოდნა საჰაერო ხომალდების, საავიაციო ძრავების, ავიონიკისა და ელექტრული სისტემების მიმართულებით და შეძლებენ ტექნიკის მომსახურებას. მიზანში იკვეთება დინამიკურ და სწრაფად ცვლად გარემოში ორიენტირების უნარების განვითარება და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება.

პროგრამის მიზნები გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიიდან და სტრატეგიული განვითარების გეგმიდან, გათვალისწინებულია უცხოური გამოცდილება. კერძოდ, შესწავლილი და გაანალიზებულია ტულუზის ეროვნული უმაღლესი საავიაციო სკოლის (ENAC-საფრანგეთი) და სხვა ევროპის მონათესავე უმაღლეს საავიაციო სკოლების გამოცდილება, რომლებთანაც საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება.

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნის ზრდა დასტურდება, როგორც ადგილობრივ დონეზე ჩატარებული კვლევების, ისე სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ICAO-ს და კომპანია Boeing-ის მიერ ჩატარებული კვლევებით.

პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, პასუხობს დამსაქმებლების მოთხოვნებს, რაც დასტურდება ინტერვიუს შედეგებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- Boeing-ის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები;

▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ▪ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუ; ▪ დამსაქმებლებთან ინტერვიუ.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „საკაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს 9 კომპონენტს. სწავლის შედეგები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, შეესაბამება პროგრამის მიზნებს, არის რეალისტური, გაზომვადი და მიღწევადი.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის კვალიფიკაციის დონეს და ჩაშლილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერის მიერ დადგენილი სამი კომპეტენციის მიხედვით. სასწავლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტების და მოდულების ერთობლიობა უზრუნველყოფს როგორც დარგობრივ, ისე ზოგადი და ტრანსფერული უნარების მიღწევას. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა სტუდენტს აძლევს დასაქმების და კარიერული წარმატების შესაძლებლობას. პროგრამების სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მოსაზრებები, რომლებიც მიზნად ისახავდა პროგრამის შედეგების თანამედროვე შრომის ბაზრის ტენდენციებთან დაახლოებას. სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები ხელს უწყობს სტუდენტებში საინჟინრო პრობლემური სიტუაციების ანალიზის, დარგში არსებული თანამედროვე ტენდენციების გაცნობიერებასა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებას. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა მოცემულია მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაში. სასწავლო კურსების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაში კი მოცემულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი სასწავლო კურსები და დადგენილია მათი მიღწევის დონეები. განსაზღვრულია აკადემიური მოსწრების შედეგების ეფექტიანობის სამიზნე ნიშნულები. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი შეფასება. უნივერსიტეტში ხორციელდება კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, რომლის შედეგების გაანალიზების საფუძველზეც დგინდება პროგრამის შედეგების შესაბამისობა დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან. აღნიშნული შედეგების შეფასების ანგარიში პროგრამაში ცვლილებების შეტანის და მისი მუდმივი განვითარების შესაძლებლობას იძლევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საჭაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ სწავლის შედეგების რუკა; ▪ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; ▪ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; ▪ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ▪ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი; ▪ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგები; ▪ დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები; ▪ პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

“საპაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შედეგად სტუდენტის სტატუსის მოპოვებით. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება ასევე შეიძლება განხორციელდეს, მობილობის ან შიდა მობილობის გზით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების უფლების მქონე პირთა უნივერსიტეტში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე და ცნობარში, ასევე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. შესაბამისად დაცულია ინფორმაციის საჯაროობის და ხელმისაწვდომობის მოთხოვნები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს საინჟინრო პროგრამის სპეციფიკას, სამართლიანია, საჯარო და ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ვებ გვერდი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 კრედიტს. აქედან ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებზე გათვალისწინებული 187 კრედიტი, ხოლო თავისუფალ სასწავლო კურსებზე - 53 კრედიტი. პროგრამის სპეციფიკადნ გამომდინარე ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებში წარმოდგენილია 27 კრედიტის მოცულობის ორი არჩევითი კონცენტრაცია: EASA B1 და EASA B2. პროგრამაში, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი მოცულობითაა მოცემული ინგლისური ენის სწავლება. ძირითადი სწავლის სფეროს ზოგიერთი სასწავლო კურსი ისწავლება ინგლისურ ენაზე. მათი მოცულობა სასწავლო კურსების საერთო მოცულობიდან შეადგენს 27%-ს (14 სასწავლო კურსი 56-დან). პროგრამის შინაარსში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, კურსდამთავრებულების და დამსაქმებელთა მოსაზრებები, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება. პროგრამის შინაარსი შეესაბამება საბაკალავრო საფეხურისთვის ეროვნული
--

საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას. კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს ორივე მხარის მხრიდან აღნიშნული იყო გაცნობითი პრაქტიკის საჭიროება, რათა მომავალში უფრო ნათელი გახდეს სტუდენტისთვის არჩეული მომავალი პროფესიის სპეციფიკა. დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ვინაიდან ქვეყანაში არსებობს ტექნიკა რომლის შესახებ ტექნიკური ინფორმაცია რუსულ ენაზეა. ამიტომ სჭირდებათ კადრები რომლებსაც გარკვეულ დონეზე ეცოდინებათ რუსული ენა. ამ მიმართულებით ცოდნის დეფიციტი ასევე აღნიშნეს კურსდამთავრებულმაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საპაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ საპაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; ▪ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი; ▪ უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://ssu.edu.ge/; ▪ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუ; ▪ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუ.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში გაცნობითი პრაქტიკის დამოუკიდებლად დამატება, მიუხედავად იმისა რომ, სასწავლო კურსი ავიაციის საფუძვლები ითვალისწინებს ვიზიტს პრაქტიკის ობიექტზე; ▪ სასურველია, რუსული ენის სწავლების გაძლიერება საავიაციო ტერმინოლოგიის დონეზე, რადგან კურსდამთავრებულებს შეიძლება მოუწიოთ რუსული წარმოების ტექნიკაზე (შვეულმფრენებზე) მუშაობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 56 სასწავლო კურსს. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახულია შემდეგი ინფორმაცია: სწავლის საფეხური, მოცულობა კრედიტებში, წინაპირობები, კურსის მიზანი, სწავლის შედეგები, სასწავლო დატვირთვის გადანაწილება, გამოყენებული ლიტერატურა, შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, სწავლება-სწავლის მეთოდები და თემატური საკითხები.

ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები პასუხობენ პროგრამის სწავლის შედეგებს და შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს.

სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს.

სასწავლო კურსები, რომლებიც ისწავლება ინგლისურ ენაზე, შედგენილია სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) და ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

თითოეული სასწავლო კურსი ითვალისწინებს მიწოდებული ცოდნის ყოველკვირეულ შემოწმებას პრაქტიკული, სასემინარო და ლაბორატორიული სამუშაოების მეშვეობით.

თითოეულ სასწავლო კურსში გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა და მათი გადანაწილება ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები კარგადაა გადანაწილებული.

სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა არის თანამედროვე, შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და დარგის აქტუალურ მიღწევებს. ასევე ფართოდაა გამოყენებული დარგის თავისებურებიდან გამომდინარე სპეციფიკური საექსპლუატაციო და ნორმატიული დოკუმენტები.

მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გაწერის დროს სილაბუსების ავტორებმა უფრო აქტიურად გამოიყენონ ბლუმის ტაქსონომიის მიდგომები (გამოიყენოს მოქმედების აღმნიშვნელი ზმნები: აღწერს, ახსნის, გაანალიზებს, შეაფასებს და ა.შ.);
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საპაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ სასწავლო კურსების სილაბუსები; ▪ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი; ▪ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://ssu.edu.ge/; ▪ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; ▪ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გაწერის დროს სილაბუსების ავტორებმა უფრო აქტიურად გამოიყენონ ბლუმის ტაქსონომიის მიდგომები (გამოიყენოს მოქმედების აღმნიშვნელი ზმნები: აღწერს, ახსნის, გაანალიზებს, შეაფასებს და ა.შ.).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარება გათვალისწინებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში კონკრეტული პრაქტიკული ხასიათის პროექტების, დავალებების, ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებით.

პროგრამაში გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი 20 კრედიტის მოცულობით. პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტები VIII სემესტრის განმავლობაში სრულად იმყოფებიან პრაქტიკის ობიექტზე და წინასწარ განსაზღვრული პირობების მიხედვით ახორციელებენ მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ გარემოში ადაპტაციას, განვითარებას და განმტკიცებას. უნივერსიტეტს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე გააჩნია ტექნიკური მომსახურების სასწავლო საწარმო. ამ საწარმოში განთავსებულია Boeing 737-200 ტიპის საჰაერო ხომალდი, რომელზეც შესაძლებელია ტექნიკური მომსახურების სრულფასოვანი სამუშაოების ჩატარება და სწავლება. სტუდენტთა პრაქტიკის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტს ასევე გაფორმებული აქვს მემორანდუმები ავიაკომპანიებთან. საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის პრაქტიკული უნარჩვევების განმავითარებელი კომპონენტები ინტეგრირებულია აგრეთვე ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებში.

სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის კვლევით პროექტებში. კერძოდ, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ინტერესების მიხედვით მონაწილეობა მიიღონ ოლიმპიადებში, სტუდენტთა დასაქმების ფორუმებში სხვადასხვა კონკურსებში. სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვა სასწავლებლებისა და ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში.

„საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს გარკვეულ დონეზე პრაქტიკული, საშემსრულებლო, ტრანსფერული უნარების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მემორანდუმები და ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი <http://ssu.edu.ge/index.php/ka/>;
- ჟურნალი „საჰაერო ტრანსპორტი“;

▪ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სასწავლო ბაზებზე ვიზიტის შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) თანამედროვე სტანდარტების ტექნიკური მომსახურების სასწავლო საწარმოს და Boeing 737-200 ტიპის საჰაერო ხომალდის შეძენა, რომელიც განთავსებულია თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე.
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამის, თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მკაფიოდ არის გაწერილი კურსის შინაარსისა და სპეციფიკის შესაბამისი სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც ადეკვატურია პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კომპონენტისათვის, პასუხობს კურსის შინაარსსა და მიზნებს, აგრეთვე უზრუნველყოფს კურსით გათვალისწინებული სწავლის

შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები, მისადაგება და ზომავს სწავლის თითოეულ შედეგსა და კომპეტენციას.

სწავლების პროცესში გამოყენებული არის მეთოდოლოგია, რომელიც საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევას. გამოყენებულია ლექციის, ლაბორატორიული მუშაობის, პრაქტიკის, სამუშაო ჯგუფში მუშაობის მეთოდები, რომელთა განხორციელების ფარგლებში გათვალისწინებულია ისეთი აქტივობები როგორიცაა: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევის ანალიზი (ქეისები), ქვიზები/ტესტები, პროექტების პრეზენტაცია, კითხვარები, თანამშრომლობითი სწავლება, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განხორციელებისა და განმტკიცების მიზნით უზრუნველყოფილია სათანადო ბაზა და საგანმანათლებლო პროგრამაში დიდი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებას. აგრეთვე, აღსანიშნავია იმ სპეციალიზებული თეორიული მომზადების სასწავლო კურსების სწავლის მეთოდები, რომელიც ითვალისწინებს საკუთარ ხომალდების სისტემების შესასწავლი თანამედროვე კომპიუტერული პროგრამის (CBT) გამოყენებას.

სწავლება-სწავლის მეთოდები თავისი შინაარსით არის მოქნილი და იძლევა საშუალებას მორგებული იქნას სტუდენტის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე.

საკუთარ ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებულია ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) შესაბამისი სპეციალიზებული სასწავლო პროგრამის და საკუთარ ხომალდის ტექნიკური მომსახურების ავიასპეციალისტის მომზადების მიმართ წაყენებული მოთხოვნები.

მნიშვნელოვნად არის გაზრდილი პრაქტიკული კომპონენტისთვის დათმობილი კრედიტების ოდენობა, აგრეთვე გათვალისწინებულია ინგლისური ენის (შესაბამისი ტერმინოლოგიის) ცოდნის საჭიროებაზე მორგებული მოცულობები, რაც გაზრდის კურსდამთავრებულთა საექსპლუატაციო გარემოში ეფექტური ინტეგრაციის შესაძლებლობას.

სტუდენტებს აქვთ შესაბამისი მატერიალური ბაზა, რათა მოახდინონ თეორიული ცოდნის ლაბორატორიებში პრაქტიკული და ვიზუალური დამუშავება. თუმცა აღსანიშნავია რომ სასწავლო სტენდებზე მანიშნებლები ძირითადად მითითებულია მხოლოდ ერთ უცხო ენაზე (რუსულად). სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ როდესაც ტერმინი მანიშნებელზე გაუგებარია ლექტორებს მიმართავენ დასახმარებლად. სასურველია სტენდებზე არსებულ მანიშნებლებზე ინფორმაცია ქართულ ენაზეც იყოს დატანილი, რათა სტუდენტმა დამოუკიდებლად შეძლოს მისი გაგება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საკუთარ ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;

▪ აკრედიტაციის ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია; ▪ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი; ▪ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ▪ პერსონალის შეფასების პროცედურა; ▪ ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების მეთოდუკები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია სასწავლო სტენდებზე არსებულ მანიშნებლებზე ინფორმაცია ქართულ ენაზე იყოს დატანილი, რათა სტუდენტმა დამოუკიდებლად შეძლოს მისი გაგება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ▪ საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებულია ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) შესაბამისი სპეციალიზებული სასწავლო პროგრამის და საჰაერო ხომალდის ტექნიკური მომსახურების ავიასპეციალისტის მომზადების მიმართ წაყენებული მოთხოვნები. ▪ მნიშვნელოვნად არის გაზრდილი პრაქტიკული კომპონენტისთვის დათმობილი კრედიტების რაოდენობა, აგრეთვე გათვალისწინებულია ინგლისური ენის (შესაბამისი ტერმინოლოგიის) ცოდნის საჭიროებაზე მორგებული მოცულობები, რაც გაზრდის კურსდამთავრებულთა საექსპლუატაციო გარემოში ეფექტური ინტეგრაციის შესაძლებლობას.
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის, საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამას განსაზღვრული აქვს სტუდენტის სწავლის შედეგების (მიღწევების) შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით. სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით (ბრიუსელი, 2005.14.02), „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით (2004.21.12) და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3; 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების 100 ქულიანი სისტემით.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტის ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტური სისტემა. სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს. შუალედური შეფასება მოიცავს: შუალედურ გამოცდას, მიმდინარე შეფასებებს და შეფასების სხვა კომპონენტს, რომელიც შეირჩევა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით და აისახება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა შეიძლება იყოს 30 ქულიდან 40 ქულამდე. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედურ შეფასებაში გადალახული აქვს შუალედური შეფასების 35%-იანი (პრაქტიკის შემთხვევაში 75%) მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის დასკვნითი გამოცდის შემთხვევაშიც.

საგამოცდო ნაშრომების შესწორებისას დაცულია ანონიმურობის პრინციპი. პროფესორს საგამოცდო ნაშრომი გადაეცემა დაშიფრული სახით, შესაბამისად ლექტორი ვერ ახდენს სტუდენტის იდენტიფიცირებას, რაც კიდევ უფრო მეტად ობიექტურს ხდის შეფასების პროცესს. გასწორებული ნაშრომი უბრუნდება სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს, სადაც ხდება ნაშრომზე შიფრის მოცილება და ელექტრონული აღრიცხვის ჟურნალში შესაბამისი ქულის შეტანა. გამოცდის შედეგები სტუდენტისათვის ცნობილი ხდება ელექტრონული აღრიცხვის მეშვეობით. სასწავლო კურსის სილაბუსებში სტუდენტის მიერ FX-ის მიღების შემთხვევაში, აღწერილია დამატებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა, აგრეთვე სილაბუსებში მითითებულია რა ვადაში შეუძლია სტუდენტს დამატებით დამოცდაზე გასვლა.

გამოცდების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მისთვის მიუღებელი შეფასება. ამ მიზნით სტუდენტი მიმართავს საგამოცდო ცენტრს და ნამუშევარი ეგზავნება სააპელაციო კომისიას. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ უნივერსიტეტში არსებობს ხელმეორე გასაჩივრების მექანიზმი. ეს მექანიზმი ასახულია გამოცდების ჩატარების წესის მე-4 მუხლში. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტის პროტესტი არ დაკმაყოფილდა და სტუდენტს კვლავ აქვს პრეტენზია შეფასებასთან დაკავშირებით, დეკანი უფლებამოსილია სტუდენტის ინტერესის დასაცავად დანიშნოს კომისიური წესით განხილვა. კომისია სტუდენტის მონაწილეობით განიხილავს სტუდენტის საგამოცდო ნამუშევარს და ღებულობს გადაწყვეტილებას. კომისიის მიერ მიღებული ნებისმიერი

გადაწყვეტილება საბოლოოა და სტუდენტის პროტესტი განხილვას აღარ ექვემდებარება. აღნიშნული პროცედურა ობიექტურობისა და მიუკერძოებულობის მეტ შესაძლებლობას იძლევა. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს, მათ არ გამოუხატავთ უკმაყოფილება სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პედაგოგის მხრიდან უკუკავშირის მიღების თაობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ პროგრამის კურიკულუმი; ▪ პროგრამის სილაბუსები; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ 2018 წლის 20 თებერვლის დადგენილება #23 „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“; ▪ გამოცდების ჩატარების წესი; ▪ საავიაციო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ▪ ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტიში საჭირო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემების და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების პირობების შესახებ. მოწესრიგებულია სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების სისტემა. სიახლეების მიწოდება მიმდინარეობს ინდივიდუალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც იძლევა საშუალებას, რომ სტუდენტები მუდმივად ეცნობოდნენ მიმდინარე სიახლეებს.

უნივერსიტეტში არსებობს ელექტრონული საინფორმაციო (LMS) სისტემა, აღნიშნულ სისტემაში ხდება ყველა სტუდენტის რეგისტრაცია, მათთვის სასწავლო კურსების შეთავაზება, ელექტრონული სასწავლო მასალებისა და სილაბუსების განთავსება. სტუდენტებს აქვთ კონსულტაციის შესაძლებლობა. სილაბუსებში მითითებულია ინფორმაცია კონსულტაციის ჩატარების დროსა და ადგილზე.

სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა აქტივობების შესახებ. აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში.

სტუდენტები იღებენ დასაქმებაზე კონსულტაციებს, აგრეთვე, ინფორმაციას კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით აქტივობების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ვებ გვერდი; ▪ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ ადმინისტრაციასთან, პროფესორ-მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები; ▪ საუნივერსიტეტო ინრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების შედეგები; ▪ გამოკითხვის სტატისტიკური შედეგები; ▪ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო დისციპლინების სილაბუსები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთაც გააჩნიათ სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოცემული სტატიები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, მათი მონაწილეობა ძირითადად ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციებში, ასევე მათი ჩართულობა საერთაშორისო, ძირითადად ევროპული ქვეყნების გაცვლით პროგრამებში. საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება ქმნის საფუძველს

პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევისათვის. წარმოდგენილი აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების რაოდენობა საკმარისია საგანმანათლებლო პროგრამის საჭირო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია, განხორციელებისათვის. აღნიშნული საბაკალავრო პროგრამის პერსონალს აქვს დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, ჩართული იყო სამოქალაქო ავიაციაში პერსონალის სერტიფიცირებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო პროექტებში. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასების და განვითარების პროცესში, რაც განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების შეფასების წესში და პროგრამის შეფასების კრიტერიუმებში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს უნივერსიტეტის მიერ სამოქალაქო ავიაციის ზედამხედველ უწყებასთან - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან ურთიერთკოორდინაცია და აკრედიტაციის პროცესში სამოქალაქო ავიაციის რეგულაციების მოთხოვნების გათვალისწინება. პროგრამის პერსონალის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედი სამოქალაქო ავიაციის სფეროში მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნებს. პროფესიასთან დაკავშირებული საგნების ლექტორებს გააჩნიათ სამოქალაქო ავიაციის რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად გაცემული მასწავლებლის სერტიფიკატი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი; - აკადემიური დატვირთვის წესი; - პერსონალის მართვის პოლიტიკა; - პერსონალის შეფასების პროცედურა; - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი; - მოწვეული, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები; - ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და დამსაქმებლებთან; - სახელმძღვანელო მასალები (ლექციების კურსები).
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): სამოქალაქო ავიაციის ზედამხედველ უწყებასთან - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან ურთიერთკოორდინაცია და სამოქალაქო ავიაციის რეგულაციების მოთხოვნების გათვალისწინება.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

პროგრამის პერსონალის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედი სამოქალაქო ავიაციის სფეროში მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნებს. პროფესიასთან დაკავშირებული საგნების ლექტორებს გააჩნიათ სამოქალაქო ავიაციის რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად გაცემული მასწავლებლის სერტიფიკატი.

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასების პოლიტიკა, რომლითაც შეძლებს პერსონალის კომპეტენციის დადგენას დაკისრებული ვალდებულების შესრულებისათვის, ასევე მომავალში მათი საჭიროებების დადგენისა და სამეცნიერო კვლევით ღონისძიებებში ჩართულობის უზრუნველყოფას.

უნივერსიტეტში ტარდება პროფესორ-მასწავლებელთა თემატური კონფერენციები, სადაც აკადემიურ პერსონალს საშუალება ეძლევა წარმოადგინოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები. აკადემიური, მოწვეულ და სამეცნიერო პერსონალს ასევე საშუალება აქვს მონაწილეობა მიიღოს პარტნიორი უნივერსიტეტების და ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში. ამგვარად უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- პერსონალის შეფასების პროცედურა.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ: კეთილმოწყობილი სასწავლო კორპუსები, კომპიუტერული კლასები (ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა), სასწავლო ლაბორატორიები. თეორიული ნაწილის სწავლება ხდება CBT-ის ანუ პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებებით, რაც იძლევა საშუალებას, რომ სასწავლო კურსების ჩატარება მოხდეს ვიზუალური დემონსტრირებით. პრაქტიკული სწავლებისათვის უნივერსიტეტს თბილისის აეროპორტში გააჩნია ექსპლუატაციიდან ამოღებული Boeing-737 ტიპის საჰაერო ხომალდი, რომელზეც შესაძლებელია სტუდენტმა პრაქტიკულად განახორციელოს ტექნიკური მომსახურების

სამუშაოების შესრულება. ასევე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკა, რომელიც დაკომპლექტებულია სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო, ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით, კომპიუტერული ტექნიკით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა. ასევე ხელმისაწვდომია თანამედროვე საავიაციო ტექნიკის სასწავლო ლიტერატურა, რომლის გამოყენებაც მიზანშეწონილია სალექციო კურსის მომზადების დროს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ელექტრონული კატალოგი; ▪ ელექტრონული ბაზები და რესურსები; ▪ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ▪ მემორანდუმები და ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან; ▪ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმების შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის ბიუჯეტი შედგენილია კანონმდებლობით განსაზღვრული საბიუჯეტო კლასიფიკატორის მიხედვით, სადაც ყველა მუხლში გათვალისწინებულია საინჟინრო ფაკულტეტის მოთხოვნები აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტთა რაოდენობების პროპორციულად, რაც ადასტურებს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას და მდგრადობას. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტიდან, რომელიც ფორმირდება სტუდენტთა საბიუჯეტო გრანტებისა და ინდივიდუალური შემონატანების საფუძველზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სამოქმედო გეგმა 2019 – 2021; ▪ სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019 – 2026; ▪ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ბიუჯეტი; ▪ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის ბიუჯეტი; ▪ საბაკალავრო პროგრამის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია“ ბიუჯეტი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ მოქმედებაზე და სისტემის განვითარებაზე. ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება გაწეული მომსახურების უწყვეტი მონიტორინგის მეთოდით, რომელიც ძირითადად მიზნობრივი ჯგუფების გამოკითხვის და სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეშვეობით სრულდება. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სწავლებისა და სწავლის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების შიდა შეფასების სისტემა ფარავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა: საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო კურსების სილაბუსები, სწავლის შედეგებით კმაყოფილება,

მართვის პროცესები, ინფრასტრუქტურა, მათი განვითარების საჭიროებები, აკადემიური პერსონალი, მატერიალური ბაზა და სხვ. გამოკითხვების მეშვეობით მოპოვებული ინფორმაციის შედეგების გათვალისწინებით ხდება მონაცემების დამუშავება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტის გზების შერჩევა. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და აკრედიტაციისთვის მზადების პროცესი განხორციელებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ზედამხედველობით. პროგრამის ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალისათვის გაწეული კონსულტაციების შედეგად, აგრეთვე შიდა შეფასების სისტემის ფარგლებში გამოვლენილი შედეგების გათვალისწინებით მიღწეული იქნა განახლებული სასწავლო პროგრამის სრულყოფა და სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულად მიღწევის შესაძლებლობა. ხარისხის სამსახურმა, ფაკულტეტებთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად შეიმუშავა აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასებისთვის აუცილებელი ინსტრუმენტები, ინდიკატორები, კრიტერიუმები და ფორმები, რაც ასახულია „პერსონალის შეფასების პროცედურაში“. შემოწმებას და შეფასებას ექვემდებარება, აგრეთვე, ელექტრონულ ბაზაში ატვირთული სასწავლო კურსების სილაბუსები. შიდა შეფასების ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვის მიზნით, უზრუნველყოფილია სტუდენტთა ჩართულობა შიდა შეფასების პროცესში, რისთვისაც გამოიყენება სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარები. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია წინა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში აღნიშნული აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების პროგრამასთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; ▪ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების სტატისტიკური ანალიზი; ▪ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების სტატისტიკური ანალიზი; ▪ პერსონალის შეფასების პროცედურა; ▪ პლაგიატის გამოვლენისა და მასზე რეაგირების მექანიზმები; ▪ უნივერსიტეტის შინაგანაწესი; ▪ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი; ▪ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ▪ აკადემიური დატვირთვის წესი; ▪ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია წინა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში აღნიშნული აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს. შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

5.2 გარე ხარისხის შეფასება პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოქმედებს როგორც შიდა, ისე გარე შეფასების მექანიზმები. დადგენილი პროცედურის შესაბამისად, გარე შეფასების პროცესში ჩართულები არიან დარგის სპეციალისტები, პარტნიორი ან სხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები. შეფასება ხორციელდება შესაბამისი გამოკითხვების მეთოდით, აგრეთვე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის განხორციელებული პერიოდული თვითშეფასების გზით. წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია გარე შეფასების შედეგები, კერძოდ, მოხდა დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებით გამოვლენილი რეკომენდაციების ასახვა პროგრამის მიზნებსა და შედეგებში, აგრეთვე სასწავლო გეგმაში, რაც უზრუნველყოფს მათ თავსებადობას შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებსა და საჭიროებებთან. უნივერსიტეტში მოქმედი პროცედურის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამას გავლილი აქვს გარე შეფასების შესაბამისი ეტაპები. წარმოდგენილი იქნა პარტნიორი სასწავლებლების შესაბამის დარგში მოღვაწე აკადემიური პერსონალის შეფასებებიც. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პროგრამის გარე შეფასების ეტაპზე აქტიურად და ინტენსიურად იყენენ ჩართულები ავიასაწარმოების წარმომადგენლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; ▪ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საჭაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია“; ▪ კურსდამთვრებულთან და დამსაქმებელთან გასაუბრების და მათი გამოკითხვის შედეგები; ▪ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) აღსანიშნავია წარმოდგენილი პროგრამის გარე შეფასების ეტაპზე ავთენტურობის წარმომადგენლების ინტენსიური ჩართულობა.
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა, მუდმივი განვითარების და სრულყოფის მიზნით ექვემდებარება რეგულარულ მონიტორინგს და შეფასებას, რომელსაც „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“ და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, აგრეთვე შიდასაუნივერსიტეტო დოკუმენტებით დადგენილი მოთხოვნების თანახმად ახორციელებს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალი. პროგრამის შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვები, რომელთა შედეგებზე რეაგირება დადგენილია უნივერსიტეტის შიდა მოთხოვნების საფუძველზე, მათ შორის „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით“. უნივერსიტეტში სწავლების პროცესში რეგულარულად მიმდინარეობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სააუდიტორიო საქმიანობის მონიტორინგი, რაც აისახება შეფასების ფორმაში. მონიტორინგის გზით მიღებული შედეგები განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და გამოიყენება პროგრამის განვითარებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. ▪ მართვის ეფექტურობის მონიტორინგისა და შეფასების პოლიტიკა; ▪ ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; ▪ პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურა; ▪ აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი ▪ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების სტატისტიკური ანალიზი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 39

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

გივი სანაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

გიორგი მაყაშვილი

ნანა ცინცაძე

თამარ ღულუნიშვილი